



ესკალატორების მექანიკოსი

პროფესიული სტანდარტი

სსიპ –განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2018 წელი

1. დასახელება (ქართულად):
ესკალატორების მექანიკოსი

2. დასახელება (ინგლისურად):
Mechanic of escalators

3. პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი:

4. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით: 7412

5. დასაქმების სფეროს აღწერა:
ესკალატორების მექანიკოსის ფუნქციანია ესკალატორების მონტაჟი, შეკეთება.

6. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:
ესკალატორების მექანიკოსს მუშაობა უწევს ღია და დახურულ (გვირაბის) სივრცეში, მოქმედებისათვის შეზღუდულ პირობებში, ფიზიკური დატვირთვის ქვეშ. ესკალატორების მექანიკოსი შეიძლება დასაქმდეს მეტროპოლიტენში, აეროპორტებში, რკინიგზასა და ორგანიზაციებში, სადაც დამონტაჟებულია ესკალატორები. ასევე, ორგანიზაციებში და კომპანიებში, რომლებიც ახორციელებენ ესკალატორების მონტაჟს, ექსპლუატაციასა და შეკეთებას.

7. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:
18 წელი მიწისქვეშა სამუშაოებზე მომუშავეთათვის (საქართველოს შრომის კოდექსი).

8. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1.	სამუშაო ადგილის ორგანიზება	1.1. იღებს ტექნიკურ დავალებას; 1.2. იცვამს სპეც.ტანსაცმელს; 1.3. იმარაგებს საჭირო ხელსაწყო-იარაღებსა და მასალებს; 1.4. უზრუნველყოფს სამუშაო არესთან წვდომას; 1.5. შემოფარგლავს სამუშაო არეალს; 1.6. გეგმავს შესასრულებელი სამუშაოების თანმიმდევრობას; 1.7. საჭიროების შემთხვევაში ხსნის ძაბვას; 1.8. საჭიროების შემთხვევაში აკეთებს დამიწებას.
2.	შრომის უსაფრთხოება	2.1. იცავს სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების წესებს; 2.2. იცავს მიწისქვეშა გვირაბში მუშაობის უსაფრთხოების წესებს; 2.3. იცავს ხანძარსაწინააღმდეგო

		<p>უსაფრთხოების წესებს;</p> <p>2.4. იცავს ელექტროუსაფრთხოების წესებს;</p> <p>2.5. იცავს სამუშაოს შესრულების დროს განათების წესებს;</p> <p>2.6. იცავს ტვირთის დაჯამბარების წესებს;</p> <p>2.7. იცავს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს;</p> <p>2.8. აღმოუჩენს პირველად სამედიცინო დახმარებას.</p>
3.	ესკალატორის მონტაჟი	<p>3.1. ეცნობა ტექნიკურ დოკუმენტაციას;</p> <p>3.2. ამოწმებს შემადგენელი ნაწილების კომპლექტაციას;</p> <p>3.3. აწყობს ხარაჩოებს, ფიცარნაგებს და დამხმარე ამწე-სატრანსპორტო საშუალებებს;</p> <p>3.4. ამონტაჟებს დამჭიმ სადგურს;</p> <p>3.5. აწყობს ჩარჩოს შემადგენელი მოდულებისაგან;</p> <p>3.6. აწყობს კიბის ფენილის მიმმართველებს;</p> <p>3.7. აწყობს ამძრავ სადგურს;</p> <p>3.8. აწყობს გამწევე ჯაჭვს;</p> <p>3.9. აწყობს ესკალატორის ფენილს საფეხურებისაგან;</p> <p>3.10. ამონტაჟებს ბალუსტრადებს და სახელურის მეურნეობას;</p> <p>3.11. ამონტაჟებს შესასვლელ ბაქნებს;</p> <p>3.12. ახდენს აწყობილი კონსტრუქციების საბოლოო მონტაჟს.</p>
4.	ესკალატორის მომსახურება	<p>4.1. ეცნობა ტექნიკური ექსპლუატაციის მოთხოვნებსა და ნორმებს;</p> <p>4.2. ახდენს ესკალატორის კონსტრუქციის ვიზუალურ დათვალიერებას;</p> <p>4.3. არეგულირებს ესკალატორის მუხრუჭებს;</p> <p>4.4. ამოწმებს შესასვლელი ბაქნების მდგომარეობას;</p> <p>4.5. ამოწმებს საფეხურების, ბალუსტრადების და სახელურების მდგომარეობას;</p> <p>4.6. ასრულებს შეზეთვის სამუშაოებს;</p> <p>4.7. აკეთებს ჩანაწერს ჩატარებული სამუშაოების შესახებ.</p>
5.	ესკალატორის შეკეთება	<p>5.1. ადგენს ესკალატორის დაზიანების მიზეზს და ხარისხს;</p> <p>5.2. აღადგენს ესკალატორის დაზიანებულ კვანძს ან დეტალს;</p> <p>5.3. ცვლის ესკალატორის დაზიანებულ კვანძს ან დეტალს;</p>

		5.4. ამოწმებს შეკეთებულ კვანძს ან დეტალს მოქმედებაში;
		5.5. აფიქსირებს შესრულებულ სამუშაოებს.
6.	პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	6.1. ეცნობა უახლეს პროფესიულ ტექნოლოგიებს;
		6.2. ეცნობა პროფესიაში გამოყენებად უახლეს ხელსაწყოებს;
		6.3. ეცნობა პროფესიულ ლიტერატურას;
		6.4. პერიოდულად ესწრება პროფესიულ ტრენინგებს;
		6.5. იზიარებს პროფესიონალთა გამოცდილებას თანამედროვე კომუნიკაციების საშუალებებით.

9. პიროვნული თვისებები:

- პუნქტუალურობა
- დაკვირვებულობა
- მოქნილობა
- პასუხისმგებლიანობა

10. მატერიალური რესურსი:

ა) ინვენტარი, აღჭურვილობა:

- ქანჩის გასადები;
- უნივერსალური ქანჩის გასადები;
- საზეინკლო ინსტრუმენტები;
- ურო;
- ძალაყინი;
- მომხსნელი სამარჯვები;
- ლაზერული და ციფრული მზომი ხელსაწყოები;
- დიელექტრიკული სახრახნისი;
- დიელექტრიკული ბრტყელტუჩა;
- ხელის ჯალამზარი;
- დენის მაძიებელი;
- ელექტრობურღი;
- ბურღები;
- ქარგოლი;
- ხის საჭრელი ხერხი;
- ხრახნის მოსაჭრელი ინსტრუმენტები;
- პერფორატორი;
- დისკი-გადამჭრელი;
- დინამომეტრული ქანჩის გასადები;
- შტანგელ ფარგალი;
- საკომუნიკაციო საშუალებები;
- მტვერსასრუტი;
- შესაზეთი აპარატი;

- საკისრების ჩასაწნეხი მოწყობილობა;
- სალესი დაზგა;
- საბურღი დაზგა;
- დომკრატი ჰიდრაულიკური;
- დომკრატი მექანიკური.

ბ) მასალა, ნედლეული:

- დიელექტრიკული ხელთათმანი;
- დიელექტრიკული ხალიჩები;
- ლითონის საჭრელი დისკები;
- ხერხუნას პირები;
- შაბლონები;
- მომჭიმები;
- სამაგრი ელემენტები;
- შემოსაღობი ბარიერები;
- გამაფრთხილებელი და საინფორმაციო ფირნიშები;
- საზეთ-საპოხი მასალები;
- საწმენდი საშუალებები;
- პირადი ჰიგიენის საშუალებები;
- კანის დამცავი საშუალებები;
- დამცავი სათვალეები;
- ინდივიდუალური დამცავი ქამარი;
- დასაკიდი კალათი;
- კომბინიზონი;
- სპეც.ფეხსაცმელი;
- ხელთათმანი;
- ჩაფხუტი;
- რესპირატორი.

11.სამომავლო ტენდენციები:

ესკალატორების მართვის პროგრამული სისტემების განვითარება.

12.პროფესიული ცოდნა და უნარები:

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	სამუშაო ადგილის ორგანიზება	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების წესები • სამანქანათმშენებლო ნახაზის წაკითხვის წესები • დარგის შესაბამისი ტექნიკური ტერმინოლოგია • სპეც. ტანსაცმლის 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექნიკური ტერმინოლოგიის სწორად განმარტება • სპეც.ტანსაცმლის გამოყენება • ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება • ხელსაწყო-იარაღების გამოყენება • კონკრეტული სამუშაოსთვის

		<p>დანიშნულება</p> <ul style="list-style-type: none"> • ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ტიპები • ხელსაწყო-იარაღების ტიპები და დანიშნულება • კონკრეტული სამუშაოსთვის საჭირო მასალები და მათი თვისებები • ხელსაწყო-იარაღებისა და მასალების გამოყენების წესები • სპეციალური სამარჯვების კონსტრუქციები და გამოყენების მეთოდები • მზომი და მაკონტროლებელი ინსტრუმენტების გამოყენების წესები • სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო ფარგლების განსაზღვრის წესები • კონსტრუქციული ელემენტების ჩამონათვალი • კონსტრუქციული ელემენტების დემონტაჟის წესები • უსაფრთხოების წესები • სამუშაო არეალის შემოფარგვლის წესები • შემოფარგვისათვის გამოსაყენებელი კონსტრუქციები და მასალები • გამაფრთხილებელი და საინფორმაციო ფირნიშების შერჩევის წესები • შესასრულებელი სამუშაოების წარმოების ტექნოლოგია • მოცემული კვანძის კონსტრუქცია • სამუშაოს დაგეგმვის მეთოდები • სამუშაო დროის რაციონალურად განაწილების წესები • მოცემულ სამსახურში მოქმედი კომუნიკაციის წესები • კომუნიკაციის საშუალებების 	<p>საჭირო მასალების შერჩევა</p> <ul style="list-style-type: none"> • სპეციალური სამარჯვების გამოყენება • მზომი და მაკონტროლებელი ინსტრუმენტების გამოყენება • სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო არის ფარგლების განსაზღვრა • კვანძის საფარის უსაფრთხო დემონტაჟი • კონსტრუქციული ელემენტების თანმიმდევრულად მოხსნა • მოხსნილი ელემენტების უსაფრთხოდ დასაწყობება • სამუშაო არეალის შემოფარგვლა • შემოფარგვისათვის გამოსაყენებელი კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენება • შესაბამისი გამაფრთხილებელი და საინფორმაციო ფირნიშების შერჩევა/განთავსება • შესასრულებელი სამუშაოების წარმოების ტექნოლოგიის აღწერა • მოცემული კვანძის კონსტრუქციული ელემენტების ჩამოთვლა • სამუშაოს დაგეგმვა. • სამუშაო დროის რაციონალურად განაწილება • მოცემულ სამსახურში კომუნიკაციის დამყარება შესაბამის თანამდებობის პირებთან • კომუნიკაციის საშუალებების გამოყენება • შეუძლია ინფორმაციის დაფიქსირება მოქმედი წესების შესაბამისად • ძაბვის ქვეშ მოქმედი კვანძების განსაზღვრა • კვანძში მოქმედი ძაბვის
--	--	---	--

		<p>გამოყენების წესები</p> <ul style="list-style-type: none"> • კონკრეტული ინფორმაციის მიმღები პირების თანამდებობრივი მდგომარეობა • ინფორმაციის დაფიქსირების მოქმედი წესები • ძაბვის ქვეშ მოქმედი კვანძები • კვანძში მოქმედი ძაბვის სიდიდე • ძაბვის მოხსნისათვის შესასრულებელი სამუშაოების თანმიმდევრობა • კვანძში ძაბვის არსებობის შემოწმების მეთოდი • ელექტროუსაფრთხოების გამაფრთხილებელი ფირნიშების გამოყენების წესები • დამცავი დამიწების მოწყობის წესები • დამცავი დამიწების მოწყობისათვის საჭირო მასალები • დამცავი დამიწების ვარგისიანობის დადგენის წესები • დიელექტრიკული დამცავი საშუალებების გამოყენების წესები 	<p>სიდიდის დადგენა</p> <ul style="list-style-type: none"> • კომუნიკაცია ძაბვის გათიშვაზე უფლებამოსილ პირთან • კვანძში ძაბვის არსებობის შემოწმება • ელექტროუსაფრთხოების გამაფრთხილებელი ფირნიშების გამოყენება • დამცავი დამიწების მოწყობისათვის საჭირო მასალების შერჩევა • დამცავი დამიწების მოწყობა • დამცავი დამიწების ვარგისიანობის დადგენა • დიელექტრიკული დამცავი საშუალებების გამოყენება.
2.	შრომის უსაფრთხოება	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების წესები • სიმაღლეზე მუშაობისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დანიშნულება • სიმაღლეზე სამუშაოებისათვის საჭირო ხარაჩოებისა და ფიცარნაგების მოწყობის წესები • მიწისქვეშ გვირაბში მუშაობის უსაფრთხოების წესები • მიწისქვეშ გვირაბში მუშაობისთვის საჭირო 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობა • სიმაღლეზე მუშაობისთვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება • სიმაღლეზე სამუშაოებისთვის საჭირო ხარაჩოებისა და ფიცარნაგების უსაფრთხოდ მოწყობა • მიწისქვეშ გვირაბში უსაფრთხოდ მუშაობა • მიწისქვეშ გვირაბში მუშაობისთვის საჭირო

		<p>ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დანიშნულება</p> <ul style="list-style-type: none"> • ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები • ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის დანიშნულება • ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის განთავსების ადგილები • საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან კომუნიკაციის წესები • ელექტრომოწყობილობასთან უსაფრთხო მუშაობის წესები • ელექტრო დამცავი საშუალებების ტიპები და გამოყენების წესები • გამაფრთხილებელი ფირნიშების გამოყენების წესები • სამუშაო არის განათებულობის წესები და ნორმები • განათების მოწყობისათვის საჭირო საშუალებები • ავარიული განათების დანიშნულება • ავარიული განათების მოწყობის წესები და საშუალებები • ტვირთების დაჯამბარების წესები • ჯამბარების კონსტრუქციები • ტვირთამწევი მანქანის ოპერატორთან ურთიერთობის შესტების ენა • სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმები • პირველადი დახმარების წესები და მეთოდები • პირველადი დახმარების საშუალებების გამოყენების წესები 	<p>ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება</p> <ul style="list-style-type: none"> • ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დაცვა • ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის გამოყენება • საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან კომუნიკაცია • ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა • ელექტრომოწყობილობების უსაფრთხოდ მოხმარება • ელექტრო დამცავი საშუალებების გამოყენება • გამაფრთხილებელი ფირნიშების გამოყენება • სამუშაო არის განათებულობის წესების და ნორმების დაცვა • სამუშაო არის განათების მოწყობისათვის საჭირო საშუალებების გამოყენება • ავარიული განათების მოწყობის წესების დაცვა • ავარიული განათების მოწყობისათვის საჭირო საშუალებების გამოყენება • ტვირთების დაჯამბარების წესების დაცვა • ჯამბარების კონსტრუქციების შერჩევა • ტვირთამწევი მანქანის ოპერატორთან ურთიერთობა შესტების ენაზე • სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების დაცვა • სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენება • სამუშაო გარემოზე ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება (ხმაური, დაბინძურება) • პირველადი დახმარების აღმოჩენა
--	--	---	--

			<ul style="list-style-type: none"> • პირველადი დახმარების საშუალებების გამოყენება • დაშავებულისათვის პირველადი დახმარების გაწევა.
3.	ესკალატორის მონტაჟი	<p>იგის:</p> <ul style="list-style-type: none"> • მანქანათსამშენებლო ნახაზები • ტექნიკური დოკუმენტაციის მოცემული მასალების დანიშნულება • კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების ხერხები • ესკალატორის შემადგენელი კვანძები და ელემენტები • კომპლექტაციის შემოწმების წესები • საკომპლექტაციო ელემენტების ვიზუალური შემოწმების წესები • კომპლექტაციის დანაკლისის/დაზიანების შემთხვევაში მოქცევის წესები • ხარაჩოების და ფიცარნაგების მოწყობისათვის საჭირო მასალები • ხარაჩოების და ფიცარნაგების მოწყობის წესები • მონტაჟის დროს გამოსაყენებელი ტვირთამწევი საშუალებების კონსტრუქციები • მონტაჟის დროს გამოსაყენებელი ტვირთამწევი საშუალებების გამოყენების წესები • ესკალატორის გამწევი ჯაჭვის დამჭიმი სადგურის კონსტრუქციები • ესკალატორის გამწევი ჯაჭვის დამჭიმი სადგურის მოქმედების პრინციპი • ესკალატორის გამწევი ჯაჭვის დამჭიმი სადგურის მონტაჟის თანმიმდევრობა • ესკალატორის გამწევი ჯაჭვის 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამანქანათმშენებლო ნახაზების კითხვა • მშობლიურ ენაზე კითხვა • უცხო ენაზე კითხვა • კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება • ესკალატორის შემადგენელი კვანძების და ელემენტების იდენტიფიცირება • კომპლექტაციის შემოწმება • საკომპლექტაციო ელემენტების ვიზუალური შემოწმება • კომპლექტაციის დანაკლისის/დაზიანების შემთხვევაში სათანადოდ მოქმედება • ხარაჩოების და ფიცარნაგების მოწყობისათვის საჭირო მასალების შერჩევა • ხარაჩოების და ფიცარნაგების მოწყობა • მონტაჟის დროს გამოსაყენებელი ტვირთამწევი საშუალებების შერჩევა • მონტაჟის დროს გამოსაყენებელი ტვირთამწევი საშუალებების გამოყენება • ესკალატორის გამწევი ჯაჭვის დამჭიმი სადგურის კონსტრუქციების იდენტიფიცირება • ესკალატორის გამწევი ჯაჭვის დამჭიმი სადგურის მოქმედების პრინციპის აღწერა • ესკალატორის გამწევი ჯაჭვის დამჭიმი სადგურის მონტაჟის თანმიმდევრობის განსაზღვრა • ესკალატორის გამწევი ჯაჭვის დამჭიმი სადგურის

		<p>დამკიმი სადგურის მონტაჟისას გამოსაყენებელი ინსტრუმენტები და სამარჯვები</p> <ul style="list-style-type: none"> • დამონტაჟებული კვანძის შემოწმების წესებ • იცის ესკალატორის ჩარჩოს კონსტრუქცია • ესკალატორის ჩარჩოს მონტაჟის თანმიმდევრობა • ჩარჩოს ელემენტების ანკერებზე დაყენების წესები • ესკალატორის ჩარჩოს მონტაჟისათვის საჭირო ხელსაწყოები და სამარჯვები • დამონტაჟებული ჩარჩოს შემოწმების წესები • კიბის ფენილის მიმმართველების მონტაჟის თანმიმდევრობა • კიბის ფენილის მიმმართველების სამაგრი საშუალებები • კიბის ფენილის მიმმართველების მონტაჟისათვის საჭირო ინსტრუმენტები და სამარჯვები • კიბის ფენილის მიმმართველების მონტაჟის დასაშვები ნორმები • დამონტაჟებული მიმმართველების შემოწმების წესები • ამპრავი სადგურის კონსტრუქცია • ამპრავი სადგურის ძირითადი და დამხმარე ამპრავების კინემატიკური სქემები • ამპრავი სადგურის მონტაჟის წესები და თანმიმდევრობა • ამპრავი სადგურის მონტაჟისათვის საჭირო ინსტრუმენტები და სამარჯვები 	<p>მონტაჟისას გამოსაყენებელი ინსტრუმენტებისა და სამარჯვების შერჩევა</p> <ul style="list-style-type: none"> • დამონტაჟებული კვანძის შემოწმება • ესკალატორის ჩარჩოს კონსტრუქციის იდენტიფიცირება • ესკალატორის ჩარჩოს მონტაჟის თანმიმდევრობის განსაზღვრა • ჩარჩოს ელემენტების ანკერებზე დაყენება • ესკალატორის ჩარჩოს მონტაჟისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და სამარჯვების შერჩევა • დამონტაჟებული ჩარჩოს შემოწმება • კიბის ფენილის მიმმართველების თანმიმდევრულად დამონტაჟება • კიბის ფენილის მიმმართველების სამაგრი საშუალებების შერჩევა • კიბის ფენილის მიმმართველების მონტაჟისას დასაშვები ნორმების დაცვა • დამონტაჟებული მიმმართველების შემოწმება • ამპრავი სადგურის კონსტრუქციის იდენტიფიცირება • ამპრავი სადგურის ძირითადი და დამხმარე ამპრავების კინემატიკური სქემების გარჩევა • ამპრავი სადგურის თანმიმდევრული მონტაჟი
--	--	--	---

		<ul style="list-style-type: none"> • ამპრავი სადგურის დამონტაჟების შემოწმების წესები • გამწევი ჯაჭვის დანიშნულება • გამწევი ჯაჭვის კონსტრუქცია • გამწევი ჯაჭვის რგოლების შეერთების ტექნოლოგია • ჯაჭვთან დაკავშირებული ელემენტების მიერთების ტექნოლოგია • გამწევი ჯაჭვის მონტაჟისათვის საჭირო ინსტრუმენტები და სამარჯვები • გამწევი ჯაჭვის დამონტაჟების შემოწმების წესები • ესკალატორის კიბის საფეხურის კონსტრუქცია • ესკალატორის კიბის ფენილის მონტაჟის ტექნოლოგია • ესკალატორის კიბის საფეხურის დამონტაჟების დასაშვები ნორმები • ესკალატორის კიბის ფენილის მონტაჟისათვის საჭირო ინსტრუმენტები და სამარჯვები • ესკალატორის კიბის ფენილის დამონტაჟების შემოწმების წესები • ბალუსტრადის კონსტრუქცია • სახელურის მეურნეობის კონსტრუქცია • სახელურების ამპრავი მექანიზმის კინემატიკა • სახელურების მეურნეობის ელემენტების მონტაჟის თანმიმდევრობა • ბალუსტრადის ელემენტების მონტაჟის თანმიმდევრობა • სახელურის მეურნეობისა და ბალუსტრადის ელემენტების დაყენების ნორმები • შესასვლელი ბაქნების კონსტრუქცია 	<ul style="list-style-type: none"> • ამპრავი სადგურის მონტაჟისათვის საჭირო ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენება • ამპრავი სადგურის დამონტაჟების სისწორის შემოწმება • გამწევი ჯაჭვის კონსტრუქციის იდენტიფიცირება • გამწევი ჯაჭვის რგოლების შეერთება ტექნოლოგიის შესაბამისად • ჯაჭვთან დაკავშირებული ელემენტების მიერთება • გამწევი ჯაჭვის მონტაჟისათვის საჭირო ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენება • გამწევი ჯაჭვის დამონტაჟების სისწორის შემოწმება • ესკალატორის კიბის საფეხურის კონსტრუქციის იდენტიფიცირება • ესკალატორის კიბის ფენილის მონტაჟი • ესკალატორის კიბის საფეხურის დამონტაჟება დასაშვები ნორმებით • ესკალატორის კიბის ფენილის მონტაჟისათვის საჭირო ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენება • ესკალატორის კიბის ფენილის დამონტაჟების სისწორის შემოწმება • ბალუსტრადის კონსტრუქციის იდენტიფიცირება • სახელურის მეურნეობის კონსტრუქციის იდენტიფიცირება • გაერკვეს სახელურების ამპრავი მექანიზმის კინემატიკაში • სახელურების მეურნეობის ელემენტების
--	--	---	--

		<ul style="list-style-type: none"> • შესასვლელი ბაქნების მონტაჟის ტექნოლოგია • შესასვლელი ბაქნების ელემენტების დაყენების ნორმები • შესასვლელი ბაქნების მონტაჟისათვის საჭირო ინსტრუმენტები და სამარჯვები • შესასვლელი ბაქნების დამონტაჟების შემოწმების წესები • ესკალატორის ელემენტების საბოლოო შეერთების ტექნოლოგია • აწყობილი ესკალატორის სართულშორის სივრცეში მონტაჟის ტექნოლოგია • დამხმარე ამწე -სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების წესები • ესკალატორის კონსტრუქციის დაჯამბარების წესები 	<p>თანმიმდევრულად მონტაჟი</p> <ul style="list-style-type: none"> • ბალუსტრადის ელემენტების თანმიმდევრულად მონტაჟი • სახელურის მეურნეობისა და ბალუსტრადის ელემენტების დაყენება ნორმების შესაბამისად • შესასვლელი ბაქნების მონტაჟი • შესასვლელი ბაქნების ელემენტების დაყენება ნორმების მიხედვით • შესასვლელი ბაქნების მონტაჟისათვის საჭირო ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენება • შესასვლელი ბაქნების მონტაჟის სისწორის შემოწმება • ესკალატორის ელემენტების საბოლოო შეერთება • აწყობილი ესკალატორის სართულშორის სივრცეში მონტაჟი ტექნოლოგიის შესაბამისად • დამხმარე ამწე -სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება • ესკალატორის კონსტრუქციის დაჯამბარება წესების შესაბამისად.
4.	ესკალატორის მომსახურება	<p>იგის:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამანქანათმშენებლო ნახაზები • ესკალატორის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები • კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების ხერხები • ესკალატორის კონსტრუქციის ვიზუალური დათვალიერების თანმიმდევრობა • ესკალატორის კონსტრუქციული ელემენტების ცვეთის დასაშვები ნორმები • ესკალატორის კონსტრუქციული ელემენტების შემოწმებისათვის 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ესკალატორის კონსტრუქციის ვიზუალური დათვალიერება • ესკალატორის გაცვეთილი კონსტრუქციული ელემენტების იდენტიფიცირება • ესკალატორის კონსტრუქციული ელემენტების შემოწმებისათვის საჭირო ინსტრუმენტების გამოყენება • აღმოჩენილი დეფექტების დაფიქსირება • ესკალატორის მუშა და ავარიული მუხრუჭების კონსტრუქციების

		<p>საჭირო ინსტრუმენტების გამოყენების წესები</p> <ul style="list-style-type: none"> • აღმოჩენილი დეფექტების დაფიქსირების წესები • ესკალატორის მუშა და ავარიული მუხრუჭების კონსტრუქციები • ესკალატორის მუშა და ავარიული მუხრუჭების რეგულირებისათვის საჭირო ინსტრუმენტები • ესკალატორის მუშა და ავარიული მუხრუჭების შემოწმების წესები • ესკალატორის მუშა და ავარიული მუხრუჭების რეგულირების ნორმები • შესასვლელ ბაქნებზე სავარაუდო დეფექტები • შესასვლელი ბაქნების ელემენტებს, ბალუსტრადის საფარსა და კიბის ფენილს შორის ღრეჩოების დასაშვები ნორმები • ღრეჩოების რეგულირების მეთოდები • ღრეჩოების რეგულირებისათვის საჭირო მზომი და საზეინკლო ინსტრუმენტების გამოყენების წესები • საფეხურებზე, ბალუსტრადის ელემენტებსა და სახელურებზე სავარაუდო დეფექტები • საფეხურებზე, ბალუსტრადის ელემენტებსა და სახელურებზე დეფექტების აღმოჩენის მეთოდები • საფეხურებსა და სახელურებზე დეფექტების აღმოსაჩენად საჭირო ინსტრუმენტების გამოყენების წესები • ესკალატორის შესაზეთი კვანძების განლაგება • ესკალატორის შესაზეთად 	<p>იდენტიფიცირება</p> <ul style="list-style-type: none"> • ესკალატორის მუშა და ავარიული მუხრუჭების რეგულირებისათვის საჭირო ინსტრუმენტების გამოყენება • წესების მიხედვით ესკალატორის მუშა და ავარიული მუხრუჭების შემოწმება • ნორმების შესაბამისად ესკალატორის მუშა და ავარიული მუხრუჭების რეგულირება • შესასვლელ ბაქნებზე დეფექტების იდენტიფიცირება • შესასვლელი ბაქნების ელემენტებს, ბალუსტრადის საფარსა და კიბის ფენილს შორის ღრეჩოების ნორმების შესაბამისად რეგულირება • ღრეჩოების რეგულირებისათვის საჭირო მზომი და საზეინკლო ინსტრუმენტების გამოყენება • საფეხურებზე, ბალუსტრადის ელემენტებსა და სახელურებზე მოსალოდნელი დეფექტების იდენტიფიცირება • საფეხურებზე, ბალუსტრადის ელემენტებსა და სახელურებზე დეფექტების აღმოჩენა • საფეხურებსა და სახელურებზე დეფექტების აღმოსაჩენად საჭირო ინსტრუმენტების გამოყენება • ესკალატორის შესაზეთი კვანძების ადგილმდებარეობის განსაზღვრა • ესკალატორის შესაზეთად გამოსაყენებელი საზეთ-საპოხი მასალების იდენტიფიცირება • ესკალატორის კვანძების შეზეთისათვის საჭირო მოწყობილობების გამოყენება
--	--	---	--

		<p>გამოსაყენებელი საზეთ-საპოხი მასალები</p> <ul style="list-style-type: none"> • ესკალატორის კვანძების შეზეთისათვის საჭირო მოწყობილობების გამოყენების წესები • ესკალატორის კვანძების შეზეთვის პერიოდულობა • ესკალატორის კვანძების შეზეთვის ნორმები • ჩანაწერის ტექნიკურად გამართულად გაკეთების წესები • ობიექტზე ტექნიკური მომსახურების შედეგების დაფიქსირებისათვის გამოყოფილი დოკუმენტაციის სახეები • კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების წესები 	<ul style="list-style-type: none"> • ესკალატორის კვანძების შეზეთვა შესაბამისი პერიოდულობით • ესკალატორის კვანძების შეზეთვა ნორმების დაცვით • ტექნიკურად გამართული ჩანაწერის გაკეთება • ობიექტზე ტექნიკური მომსახურების შედეგების დაფიქსირება შესაბამის დოკუმენტაციაში • კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება.
5.	ესკალატორის შეკეთება	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ესკალატორის სავარაუდო დაზიანებების შესაძლო მიზეზები • ესკალატორის დაზიანების მიზეზის დადგენის მეთოდები • ესკალატორის დაზიანების ხარისხის დადგენა • ესკალატორის კვანძებისა და დეტალების მოქმედების ნორმები • ესკალატორის კვანძებისა და დეტალების ექსპლუატაციის რესურსი • ესკალატორის დეტალებისა და კვანძების აღდგენის ტექნოლოგია • ესკალატორის დეტალებისა და კვანძების აღდგენისთვის საჭირო ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების გამოყენების წესები • ესკალატორის დეტალებისა 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ესკალატორის დაზიანებების მიზეზების იდენტიფიცირება • ესკალატორის დაზიანების მიზეზის დადგენის მეთოდების გამოყენება • ესკალატორის დაზიანების ხარისხის დადგენა • გადაწყვეტილების მიღება ესკალატორის კვანძებისა და დეტალების მოქმედების ნორმების გათვალისწინებით • გადაწყვეტილების მიღება ესკალატორის კვანძებისა და დეტალების ექსპლუატაციის რესურსის გათვალისწინებით • ესკალატორის დეტალებისა და კვანძების აღდგენის ტექნოლოგიების გამოყენება • ესკალატორის დეტალებისა და კვანძების აღდგენისთვის საჭირო ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების გამოყენება • ესკალატორის დეტალებისა

		<p>და კვანძების აღდგენისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებისა და მასალების შერჩევის წესები</p> <ul style="list-style-type: none"> • ესკალატორის დაზიანებული კვანძის ან დეტალის შეცვლის ტექნოლოგია • ესკალატორის დეტალებისა და კვანძების შეცვლისთვის საჭირო ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების გამოყენების წესები • ესკალატორის დეტალებისა და კვანძების შეცვლისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილებისა და მასალების შერჩევა • ესკალატორის კვანძებისა და დეტალების ნორმალური ექსპლუატაციის პირობები • ესკალატორის კვანძებისა და დეტალების მუშაობის შემოწმების მეთოდები • ესკალატორის კვანძებისა და დეტალების შემოწმებისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების გამოყენების წესები • ჩანაწერის ტექნიკურად გამართულად გაკეთების წესები • ობიექტზე შესრულებული აღდგენითი/შეცვლითი სამუშაოების შედეგების დაფიქსირებისათვის გამოყოფილი დოკუმენტაციის სახეები • კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების წესები 	<p>და კვანძების აღდგენისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებისა და მასალების შერჩევა</p> <ul style="list-style-type: none"> • ესკალატორის დეტალებისა და კვანძების შეცვლის ტექნოლოგიების გამოყენება • ესკალატორის დეტალებისა და კვანძების შეცვლისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების გამოყენება • ესკალატორის დეტალებისა და კვანძების შეცვლისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებისა და მასალების შერჩევა • საექსპლუატაციო პირობებში ესკალატორის შეკეთებული კვანძებისა და დეტალების შემოწმება • ესკალატორის კვანძებისა და დეტალების მუშაობის შემოწმების მეთოდების გამოყენება • ესკალატორის კვანძებისა და დეტალების შემოწმებისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების შერჩევა • ობიექტზე შესრულებული აღდგენითი/შეცვლითი სამუშაოების შედეგების დაფიქსირება შესაბამის დოკუმენტაციაში • კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება.
6.	პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების გზები • უახლესი პროფესიული 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქვეყანაში არსებული უახლესი პროფესიული ტექნოლოგიების მოძიება • უცხოეთში არსებული

		<p>ტექნოლოგიების მოდიების გზები</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიაში გამოყენებადი უახლესი ხელსაწყოების მოდიების გზები • პროფესიული ლიტერატურის მოდიების გზები • პროფესიული ტრენინგების მოდიების გზები • პროფესიონალთა გამოცდილების გაზიარებისთვის არსებული საშუალებების გაცნობის გზები 	<p>უახლესი პროფესიული ტექნოლოგიების მოდიება სხვადასხვა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით</p> <ul style="list-style-type: none"> • ქვეყანაში არსებული უახლესი ხელსაწყოების მოდიება • უცხოეთში არსებული უახლესი ხელსაწყოების მოდიება სხვადასხვა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით • ნაბეჭდი პროფესიული ლიტერატურის მოდიება • პროფესიული ლიტერატურის მოდიება ელექტრონულად • პროფესიული ტრენინგების მოდიება • პროფესიულ ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მოდიება • პროფესიონალთა გამოცდილების გაზიარება პირდაპირი კომუნიკაციის გზით • პროფესიონალთა გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.
--	--	---	--

13. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი ორგანიზაციის წევრები:

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1	ია მოსაშვილი	სსიპ-„განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი“, განათლების ფასილიტატორი
2	ავთანდილ მეტრეველი	სსიპ-„განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი“, დარგის ფასილიტატორი
3	გიორგი ნადირაშვილი	ამწე სატრანსპორტო მანქანების ცენტრი, ექსპერტი
4	მაია ბარბაქაძე	ამწე სატრანსპორტო მანქანების ცენტრი, ექსპერტი
5	ირინე გლოველი	შპს-„ტექნიჟინერინგ ჯგუფი“, სპეციალისტი
6	ჯუმბერ ნათაძე	შპს-„თბილისის აგროსისტემების წისქვილკომბინატი“, მექანიკოსი

7	რევაზ კახიძე	შპს- „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“, ტექნიკური მართვის ჯგუფის უფროსი
8	ნიკოლოზ მედულაშვილი	შპს-„ტექნიკინჟინერინგ ჯგუფი“, ტექნიკური დირექტორი
9	ნათია არსენიშვილი	შპს-„ ტექნიკინჟინერინგ ჯგუფი“, გაყიდვების მენეჯერი

დასახელება: ესკალატორების მექანიკოსი

შეფასების სტანდარტი

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

შეფასების სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლების ან/და არაფორმალური განათლების ფარგლებში შემენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს პროფესიულ სტანდარტში ასახული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების შეფასების ან/და დადასტურების აუცილებელ პირობებს:

1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებსა და ამოცანებში;
2. შესაფასებელი კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ასახავს აუცილებელ პროფესიულ ცოდნასა და უნარებს;
3. შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების შესაძლებლობებს;
4. გამოცდის პროცესს და კომპონენტებს.

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების გზები:

- ა) ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული კომპეტენციების დადასტურება (ნამდვილობის დადასტურება) განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) მიღწეული კომპეტენციების დადასტურება ამ დოკუმენტით დადგენილი პრინციპებით ჩატარებული გამოცდის გზით.

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

ფორმალურ განათლებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი

ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი მოიცავს მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას (ჩათვლას) სამიხედო კვალიფიკაციის მიზნებისათვის ქვემოთ მოცემული პრინციპების შესაბამისად:

ა) დასაშვებია მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა) ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში, თუ სწავლის შედეგები თავსებადია სამიხედო კვალიფიკაციასთან და მათი მიღწევა დადასტურებულია, რაც გამოიხატება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული დადებითი შეფასებით და შესაბამისი კრედიტის მინიჭებით.

ბ) თავსებადობის დადგენისთვის, შინაარსობრივი შესწავლის მიზნით, ამღიარებელი დაწესებულება ეყრდნობა პროფესიულ სტანდარტს ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც არის შემუშავებული გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამის კომპონენტი, არსებობის შემთხვევაში - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ან/და სილაბუსებს, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს. ამღიარებელი დაწესებულება უფლებამოსილია აღიარების მიზნებისათვის შესაფასებელ პირს მოსთხოვოს გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) გამოთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და წარდგენა.

გ) სწავლის შედეგების თავსებადობის განსაზღვრის მიზნით, აუცილებელი არაა მათი ფორმულირება იყოს იდენტური. თავსებადად ჩაითვლება სწავლის შედეგები, რომლის/რომელთა ერთობლიობაც, შინაარსის თვალსაზრისით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის გათვალისწინებით, შესაძლოა მიჩნეულ იქნას ანალოგიურად.

ნაწილი 2. მითითებები შესაფასებელი პირის ადა შემფასებლისათვის

შეფასების დაწყებამდე გაეცანით:

- პროფესიულ სტანდარტს
- შეფასების ინსტრუმენტებს
- დაინტერესებული/შესაფასებელი პირის კომპეტენციების აღიარებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს
- შემფასებლის ჩანაწერების ფორმებს
- შეფასების პირობებს
- შეფასების წესებს
- შეფასების კრიტერიუმებს

შეფასების პროცესში:

- პირადად დააკვირდით დავალებების შესრულების/შეფასების პროცესს
- თითოეული შესაფასებლისათვის აწარმოეთ შეფასების ჩანაწერების ფორმები
- თუ აუცილებელია, შესაფასებელს დაუსვით დამატებითი შეკითხვები დავალებასთან დაკავშირებით

- შეფასეთ თითოეული კრიტერიუმი

შეფასების დასრულებისას:

- შესაფასებელს მიეცით განმარტება შეფასებასთან დაკავშირებით
- შეაჯამეთ შეფასების შედეგები
- დაადასტურეთ შეფასების შედეგები ხელმოწერით
- შეფასების ჩანაწერები გადაეცით სათანადოდ უფლებამოსილ პირს

ნაწილი 3. შეფასების პროცედურა

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ორგანიზების პროცესი და კომპონენტები

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ჩატარების პროცესი მოიცავს დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების შესრულების ეტაპებს.

მიუხედავად იმისა, დასტურდება თუ არა კვალიფიკაციით გათვალისწინებული კომპეტენციები, შეფასების სტანდარტის ნაწილი 1-ის „შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება“ „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, შეფასების პროცესი მოიცავს სავალდებულო კომპონენტს (გამოცდას), რომლის შეფასება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულია გამოკითხვისა და პრაქტიკულ დავალებაზე დაკვირვების პროცესის მოთხოვნები, ასევე შეფასების სავალდებულო კომპონენტები.

ნაწილი 4. თეორიული გამოკითხვის და პრაქტიკული /დავალებების თემატიკა

გამოკითხვა

გამოკითხვის ფორმა:

- შესაფასებელი პირის გამოკითხვა ხორციელდება ტესტის და ზეპირი შეკითხვების სახით;
- ტესტი უნდა მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შეკითხვებს.

გამოკითხვის პროცესის მონიტორინგი:

არსებითია გამოკითხვის პროცესზე შემფასებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელება;

მოპოვებული მტკიცებულებები

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ მომზადებული წერილობითი ნაშრომით/შესრულებული ტესტით ან/და პრაქტიკული დავალების დროს დამატებით, დამაზუსტებელ შეკითხვებზე პასუხებით.

თეორიული საგამოცდო თემატიკა:

- დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად საგამოცდო თემატიკა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:
 - ა) სამუშაო არეალის შემოფარგვლის წესები;
 - ბ) სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების წესები;
 - გ) ესკალატორის გამწვევი ჯაჭვის დამჭიმი სადგურის კონსტრუქციები.

სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

ნაწილი 5. პრაქტიკული დავალების/დავალებები შესრულების/შეფასების კრიტერიუმების მითითებებით:

პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება.

საგამოცდო გარემო:

შესაფასებელი პირის შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალებების სახით.

საგამოცდო პროცესის მონიტორინგი:

საგამოცდო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს შემფასებელი/შემფასებლები (ნეიტრალური კომისია) წინასწარი დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

მოპოვებული მტკიცებულებები:

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმით.

საგამოცდო პრაქტიკული დავალებების ჩამონათვალი:

დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად სტუდენტმა უნდა შეასრულოს დავალება: რომლებიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- ა) სამუშაო არეალის შემოფარგვლა;

ბ) სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების წესების დაცვა;

გ) დამჭიმი სადგურის დამონტაჟება.

გაითვალისწინეთ:

1. შესაფასებელი პირის მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოებისას ეკონომიური, ხარისხის უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, სამართლებრივი, უსაფრთხოების წესების დაცვის, ჰიგიენის დაცვის მიდგომების, სამუშაოს შესრულების თანამიმდევრობის შეფასება წარმოადგენს ზემოთხაზოვლილ დავალებებზე დაკვირვების თანამდევ პროცესს და მასზე დამატებითი დროის გამოყოფა არაა რეკომენდებული;
2. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელი პირი პასუხობს მათ და საჭიროებისამებრ მოჰყავს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების შესაბამისი არგუმენტები;
3. სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

ნაწილი 6. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაცია

შემფასებლის ჩანაწერების ფორმები

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

დადასტურებული კომპეტენცია	მტკიცებულებები		
	ფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	არაფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	გამოცდა (დანართი N)

შედეგი: დადასტურდა -----/ არ დადასტურდა -----

შემფასებლის კომენტარი:
დადასტურება: